სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ნოემბერი, 2023 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილება N 07-01/56

,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, სამეცნიერო კვლევის სამსახურის 15/11/2023 წ. სამსახურებრივი ბარათის (N1556324) წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/13, 17.11.2023) ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები, კერძოდ:**

ა) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონკურსი ცხადდება კალენდარული წლის განმავლობაში 4-ჯერ **(გასამართი ღონისძიებების პერიოდი: 1.** იანვარი-მარტი; 2. აპრილი-ივნისი; 3. ივლისი-სექტემბერი; 4. ოქტომბერი-დეკემბერი), ბსუ-ს რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ფაკულტეტებისათვის/ინსტიტუტებისათვის გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში.“;

ბ) მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ქვეყნის გარეთ (უცხოეთში) გასამართ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის (მივლინების) დაფინანსებისათვის დასაქმებულზე 1 კალენდარული წლის განმავლობაში გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს: მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 2000 ლარს, პოსტერული მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 1500 ლარს, ხოლო ონლაინ მოხსენების წარდგენის შემთხვევაში - 1000 ლარს;“

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბსუ-ს ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისებას, რათა ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებასა და უნივერსიტეტში კვლევის ზოგადი დონის გაუმჯობესებას.“;

2. წინამდებარე გადაწყვეტილება და კოდიფიცირებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი“ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ველში „იურიდიული ცნობარი“ (ველებში: წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები“, „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“).
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**